პროექტი

საქართველოს კანონი

”სააქციო საზოგადოების -საპარტნიორო ფონდის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონში (სსმ, ვებ პორტალი, 110413019, 13.04.2011) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფონდი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ამ კანონით, ფონდის წესდებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.“;

2. მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფონდი არ განიხილავს ისეთ პროექტებს, რომლებიც უშუალოდ შეეხება მომსახურების სფეროს.“;

3. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფონდის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საერთაშორისო სფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრები და გრანტები, რომელთა დაბრუნებისთვისაც ფონდი თავადაა პასუხისმგებელი;

ბ) სახელმწიფოს მიერ ფონდისათვის გადაცემული კომპანიების ან/და უშუალოდ ფონდის მიერ დაფუძნებული კომპანიების დივიდენდები (მათ შორის, წილების და ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული შემოსავალი);

გ) კერძო სექტორის თანადაფინანსებით მოზიდული სახსრები;

დ) ფონდის დამფუძნებლის შენატანები ფონდის კაპიტალში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,

2011 წლის————